



სახელმწიფო შესყიდვების
სააგენტოს თავმჯდომარის
გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა



KA080116198556220

№ 2625

19 / ივნისი / 2020 წ.

შპს „ანაგის“ თეთრ სიაში დარეგისტრირების შესახებ

სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოში 2020 წლის 18 მაისს წარმოდგენილ იქნა შპს „ანაგის“ (ს/ნ: 245416401) 2020 წლის 18 მაისის №313 მომართვა (რეგისტრაციის № 4898), რომლითაც მიმწოდებელმა მოითხოვა თეთრ სიაში დარეგისტრირება. შპს „ანაგმა“ 2020 წლის 28 მაისსა და 18 ივნისს წარმოადგინა 2020 წლის 27 მაისის № 333 და 18 ივნისის № 378 დაზუსტებული მომართვები (რეგისტრაციის № 5122 და № 5795), რომლითაც გამოასწორა მის მომართვაზე სააგენტოს 2020 წლის 20 მაისის №1753 წერილით დადგენილი ხარვეზი.

სააგენტომ განიხილა მიმწოდებლის მომართვა და დაზუსტებული მომართვები თანდართული დოკუმენტაციით და მიიჩნევს, რომ იგი აკმაყოფილებს სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2016 წლის 26 თებერვლის №2 ბრძანებით დამტკიცებული „თეთრი სიის წარმოების წესისა და პირობების“ მე-3 და მე-4 მუხლებით განსაზღვრულ მოთხოვნებს.

სააგენტომ იხელმძღვანელა სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2016 წლის 26 თებერვლის №2 ბრძანებით დამტკიცებული „თეთრი სიის წარმოების წესისა და პირობების“ მე-6 მუხლით და დაადგინა:

1. შპს „ანაგი“ (ს/ნ: 245416401) 2020 წლის 22 ივნისს დარეგისტრირდეს თეთრ სიაში.
2. ამ განკარგულების აღსრულება დაევალოს სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს ინფორმაციული ტექნოლოგიების დეპარტამენტს.
3. ეს განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს მისი ოფიციალური გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში, თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ, №6), კანონმდებლობით დადგენილი წესით.

თავმჯდომარე

ხელმოწერილია/
შტამპდასმულია
ელექტრონულად

ლევან რაზმაძე